ოქტომბერი
1932 წელი

# ნიანგი

№ 22
ფასი 25 კაპ.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენში ისეთ ადგილებში გავიდა გზატკეცილი, სადაც წინედ მიმოსვლა მხოლოდ ზაფხულობით ხდებოდა და ისიც საცალფეხო ბილიკებით.

ნახ. ქოქიაშვილის.

ს. ს. ს. რ. 35
კომისარიატი
წიგნის პალატა
15 X 1932
№ 433



სოფლის მავნებლები:—დავიღუპეთ, მოდიან,.. თავს ვუშველოთ.

# ალმა-დალმა

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
მაგრამ ასვლა ძალიანი მეძნელა,
რადგან იყო მეტად წვრილი ბილიკი,
მარვალ წლების ნიაღვრებით ნა
ლეკი!
წინეთ, თურმე აქ ყოფილა შარა-გზა,
მემკვიდრობით მიგვიღია ის ჩვენ მზა!
მაგრამ ეხლა ის ნაგზურსაც არა
ჰგავს,
კაცი ყველა ნაბიჯს ქვაზე ფეხს წა-
ჰკრავს!.
როგორც იყო ავაწიე მე სერზე,
გადავისვი ხელი ულვაშ და წვერზე,
მომაგონდი, ამხანაგო, ვასოჯან,
ეს იქნება, მგონი, მეათასეჯერ!
ცა მოჩანდა მოწმენდილი, სადარი.
გავიფიქრე: ნეტა ვასო სად არი?
ის არის ხომ ეხლა გზების პატრონი,
მაგრამ გზები არ არიან ფართონი!
სოფლელებში ზოგი არის უვიცი,
სამწუხაროდ გამოცდილებით ვიცი,
გზის კეთება საშინლათ ეზარებათ,
ნაკეთებზე მოსწონთ იმათ გარება!
მართალია დაიწყებენ ჯერ ბუზღუნს,
რადგან გზაზე მუშაობა ყველას
სძულს,
მაგრამ შემდეგ მოგიძღვნიან მად-
ლობას,
ყველას თვალში მოიპოვებ შენ ნდო-
ბას!
შენ შეცდომას ძალიან დიდს დაუ-
შვებ,
თუ ამ დარებს ხელიდან დღეს გაუ-
შვებ!
გააკეთებ, იცი, შემდეგ ველარას,
თუ ვერ იხმარ ეხლა შრომის ბეგარას!
გამოიჩენ დაუშვებელ სისუსტეს,
თუ საქმეში ვერ შეიტან სიზუსტეს,
თუ შეჩერდი რაღაც წვრილმან ხურ-
დაზე,
ვერ იქნები ძველი ვასო ქურდაძე!
დასვენების შემდეგ დაღმა დავეშვი,
მაგრამ გულში ჩამრჩა მაინც ღრმა
ეჭვი,
თავდაღმართში მოვდიოდი მე ვი-
დრე,
მოკლე ხანში ბევრი რამე ვიფიქრე:
ერთიც ვნახოთ—აქაც ეს ჩვენი ვასო,
შესაფერად კიდევ ვერ დააფასონ,
ისე, როგორც ალმასკომში, მუშკომ-
პში,
გადისროლონ კიდევ სადღაც უფს-
კრულში!..

ს. თ—ია.

# საშვალება

ხატ. რევაზიშვილის.



— ასე თუ არ ვქენი, სულ დამემტვრევა მთელი ტანი ამ ჩვენს გზაზე!

# პატაკი ნიანგს

ძმაო ნიანგო, სალამი ჩემგან..
ჩანგლით, შოლტებით იყავ მეტგარი,
რაიონებში ვიყავი ბევრგან
რაც იქ ვიხილე-აი, ეგ არი:
ვიყავ ზუგდიდში, ამბროლაურში.
ბაშკიჩეთში და ხარაგოულში,
ხობში, ლანჩხუთში და აფხაზეთში.
ჩხარში, მესტიაში, ჩოხატაურში,
ალმასკომები ჩანგლის ღირსია:
ამბობენ „გზები რის მაქნისია."
გზათ სექციები არ ბერტყენ ყურებს,
უცქერენ ლაფში ჩაფლულსა ურმებს
უყვარით წყლის ნაყვა. ფრაზები ტკბილი.
(მასთან სიცხეში ჩერო და გრილი...)
ზოგან ვცურავდი ლაფში, ტალახში,
ზოგან ვიარე უგზოთ, ყანაში.,
ზოგან ფერდობზე დავცოცდებოდი,
და დამტვრეული ძლივსღა ვდგებოდი;
ზოგან კლდეებზე შეშინებული,
ვიყავი დიდხანს დაკიდებული...
აწი შენ იცი, თუ ნახავ გზებსა,
და აულესავ ჩანგალსაც წვერსა.

გე-ლი

# რუსიშარა

„ჰქვია, მარა საბჭოთა-რაღ მერ
მოიხმარა

არის ჩვენი გზატკეცილი
სულ ტალახად გატკლეცილი".
(გურული-ხალხური).

დღეს მეც ვმღერი ამ ჩვენს გზაზე,
ვმღერი თუმცა სევდის ხმაზე!..
რაც მას ერქვა „რუსიშარა",
ზედ ვიდოდით ისე მშრალად,
რომ დვაბზუდან ნაგომრამდე,
სულ რომ გვევლო წლიდან-წლამდე,
წუღის ბსკერს არ დავისვრიდით...
გავდიოდით წყლებზე ხიდით...
(თავისუფლად, არა რიდით!)
და იშვიათ მდინარეზე
თუ არ იყო ხიდი წესზე...
აბა, კენჭი? აბა, სილა?
ბესო იყო თუ ბასილა,
გადამკვდარი იყვნენ მაზე,
რომ ეზვინათ კენჭი გზაზე.
სულ ურტყამდენ ჩაქუჩს ქვაზე:
ტეხდენ კენჭს და მტვრევის ხმაზე
დგამდენ „კუჩკებს" და ტეხაში
ძალაც ჩანდა მუშის მკლავში,
ნაყიდი აქ დღიურ ფასად,
სრულად, მგონი, სამ აბაზად!
დღეს რამოხდა ამის ფასი?
რამ შესცვალა ეს გზა ასე?
კენჭი ზედ რამ გადარეცხა?
სჯამა ვინმემ? რად არ შერცხვა.
კენჭის ყლაპვა ასე უმად?
გზა ქე გდია ასე ჩუმად!
(არა ხავერდ-აბრეშუმად,
ტალახის და წყლის ყურყუმად!)
არ ვინ ურტყამს ჩაქუჩს ქვაზე,
და ხრეშს არვინ არ ყრის გზაზე,
არც ხიდეა ბახვის წყალზე,
ნატანებს, გუბაზოულზე...
სტდები რაღა კაცი გულზე!
ზამთარ - ზაფხულ - გაზაფხულზე
ცხავათიდან ნაგომრამდე
დგას ტალახი ზემო ყბამდე.
და იფლობა შიგ ურემი
ხარი, ცხენი, შენი... ჩემი...
თვითონ ავტოც ალმასკომის!
თუ ჰგონია, რომ აქ ლომის
ფაფა არის დანამზადი!..
ჰა, თორმეტი წელიწადი
გადის, რომ ეს ასე ხდება
და ნუ თუ არ დაფიქრდება
კაცი, ვინც ამ მხარეს მართავს—
რა ზომა ჰქონს ამ ტალახთან?
დაფიქრებაც რომ არ უნდა!..
ნუთუ ისე დაძაბუნდა
მხედველობა და გახურდა,
ურემიც არ გადაბრუნდა
და გზა ისე არ გამოჩნდა?
როცა ავტო დაუოჩნდა,
არ ჩამოდგა მაინც ფეხი,
ის ბარძაყში მოსატეხი,
და არ მიხვდა, რომ ამ დღეში
გზას სჭიროდა კენჭი, ხრეში?!.

ჭაზირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზას გადაუხვია

(სტალინისის რაიონი)

— რაკი გზათა მშენებლობის საკითხი გაინტერესებთ, მოგიყვებით ერთი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ამბავს—გვესაუბრება კოლმეურნე გიორგი დევიძე ბებნისიდან ბრეთში გავლის დროს — მაგრამ წინასწარ გაფრთხილებთ სტალინისის რაიაღმასკომის თავმჯდომარე არ გეგონოთ, თუმცალა არც ის იხურებს თავს სოფლის გზებზე. ან კი რა ენაღვლება, ხაშურში ქუჩები მოტკეპნილია და მას პირადად უგზოობა არ აწუხებს.

— თქვენ ეხლა სტყუით, ამხანაგო გიორგი!

— ჰმ, კოლმეურნეს ტყუილი როგორ შეიძლება. აი, ფაქტი, ხომ ხედავ ამ შუა ზაფხულში ბებნისიდან ბრეთის საბჭოთა მეურნეობამდე მეათეჯერ უკვე ჩამოვხტით ეტლიდან. შეხედე, ურემი, როგორ ყირამალა გადაბრუნებულა, ის ალბად, ერთი კვირაა, რაც გზაშია. სულ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ეს გზები ეკუთვნის სტალინისის რაიაღმასკომს, ჩემო ძმაო. მე მაინც უბრუნდები ჩემს პირველ თემას. იყო და არის ერთი სასოფლო საბჭო, მას ყავს თავმჯდომარე, რომელსაც კარებზე ხშირად აწერია—„დღეს შეიძლება მოვიდე, შეიძლება არა. თუ ვერ მოველი, აღარ ვიქნები საბჭოში და ნუ მელოდებით".

სოფელმა მას ბევრჯერ მისცა წინადადება, რომ უგზოობა აწუხებთ, სოფლის საბჭოში საქმისათვის ველარ მოდიან, გზა შეაკეთოს და სხვა. მაგრამ თავმჯდომარე გლეხებს მუდამ ასე ისტუმრებდა — ჯერ გზისთვის არ მცალია, ჯერ არ ყოფილა



შემთხვევა ჩვენს სოფელში გზაში ვინმე მომკვდარიყოს ან დამსხვრეულიყოს, აი მე მაგალითად, არ მახსოვს ისეთი დღე, სახლში ფხიზელი მივსულიყო, მაგრამ არასოდეს არ დამტვრეულვარ გზაში. თქვენ კარგათ იცით მე ღვინოს თუ ვსვამ, მხოლოდ იმისათვის, რომ გამოვცადო ჩვენს გზებზე შეიძლება თუ არა მართლაც კაცის დამტვრევა. გლეხებო, მე ხომ არ ვერევი თქვენს საქმეში და გაფრთხილებთ თქვენც ნუ ერევით ჩემს საქმეში.

ასეთი იყო თავმჯდომარეს თეორია და პრაქტიკა გზის შესახებ, მაგრამ კოკას წყალი მუდამ როდი მოუტანია, რომ თავმჯდომარეს მოუტანოს. (ისიც ასეთ თავმჯდომარეს).

საბჭოს თავმჯდომარეს დილის ათი საათი იქნებოდა თავზე სველი ტილო მოიძრო. ქალმა საპახმელიო მიართვა და ამოწითლებული თვალებით წაიკითხა ერთ-ერთ სოფლიდან მიღებული კოლექტიური წერილი.

— გზა გვეღუპება, უსათუოდ ამოდით, დაათვალიერეთ გზა და შეგვიკეთეთ.

თავმჯდომარეს ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია. აღმასკომის კარებზე განცხადება გააკრა — „სოფლად მივდივარ გზის შესაკეთებლად, არ ვიცი როდის დავბრუნდები".

აღმასკომის თავმჯდომარემ ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა სოფელს.

— რა გააჭირვეთ საქმე, თქვენ მშვენიერი გზა გქონიათ, რა მოხდა! გზას თუ ხრამი ახლავს, ეს სტიქიის ბრალია. ტალახი რომ მუხლამდეა — ეს ხომ წვიმის ბრალია, გზა თუ ვიწროა, და ურემის გავლა არ შეიძლება, ეს იმიტომ, რომ ჩვენ მიწის ფართობის ეკონომიას ვაკეთებთ, რომ მოსავალი მეტი მივიღოთ. მისაყვედურებთ—გზას ვერ აკეთებო, თქვენ მამაცხონებულებო, ხომ გაგიგონიათ ტფილისის საბჭომ რუსთაველის ქუჩა რამდენი ხანია დაიწყო შესაკეთებლად, მაგრამ ვერ მოაბა თავი მის დამთავრებას!—გაათავა ლაპარაკი თავმჯდომარემ.

და აქაურ მის ნაცნობებს ყურში ჩასჩურჩულა — ბიჭო, ყელის დასასველებელი ხომ გეშოვებათ? მერე ხმა-მაღლა საჯეოხურად იხუმრა — ბიჭებო, ღვინის მოსავალი როგორი გაქვთ წელს?

— ეს გაუმარჯოს ჩვენს გზას. ხომ იცით, ამხანაგებო, ბევრი სხვადასხვა გზას ადგია. სწორ გზაზე სვლა ჩვენ შეგვიყვანს სოციალიზმში. თქვენ კარგათ იცით, ზოგიერთი ვერ დგას კარგ გზაზე, უხვევენ სწორი გზიდან და ვარდებიან გადახრებში, ოპორტუნიზმში. ამგვარად, გზა მთავარია; გაუმარჯოს სწორი გზით სიარულს! დაამთავრა სადღეგრძელო თავმჯდომარემ და ლიტრა კახური სულის მოუთქმელად ჩააყუდა გამობრძმედილ ყელში.

უმთვარო ღამე იყო. მთვრალი თავმჯდომარე გაუდგა შინისაკენ. ხან ერთ წუმპეში ეცლება, ხან თხრილებზე ხტომით ფეხები დაექანცა და ბოლოს გზის ვიწრო ბილიკთან გადაიჩეხა. ხრამში. როგორც იქნა მეორე დილას სახე დასისხლიანებული ამოცოცდა ხრამიდან და გამოფხიზლების შემდეგ, თქვა — გლეხები მართალი არიან.



კარგი გზა საჭიროა სოფელში, მე რომ გზა გამეკეთებინა, ეს ამბავი არ მომივიდოდა. ხვალვე მოვიწვევ საბჭოს სხდომას და პირველ რიგში გავაკეთებ გზას!—ამ გადაწყვეტილებით შევიდა ტალახში ამოსვრილი თავმჯდომარე საბჭოში.

— ეს ამბავი მე მჯერა მართალი იქნებოდა.

— მე წინასწარ გითხარი ამხ. ივანიკა, რომ კოლმეურნესაგან ტყუილი არ შეიძლება მეთქი.

ივანიკა.

## „საქავტოგზა"-ში

— საკვირველია ჩემი საქმე, ამხ. ნიანგო... ეს მესამე თვეა, რაც „ავტოგზის" საგზაო სექციაში ვმუშაობ და დღესაც ვერ გამომირკვევია, რა უნდა გააკეთოს „ავტოგზის" ორგანიზაციამ საგზაო მშენებლობაში!..

— რამდენი საგზაო სექცია გყავთ ჩამოყალიბებული რაიონებში?

— ხუთამდე...

— რა უნდა გააკეთონ თუ იცი მათ?

— მაგას არ ვჯავრობ მეც!.. არც მათ იციან რა უნდა გააკეთონ.

— შენ რამდენჯერ იყავი რაიონში?

— არც ერთხელ, სად მქონდა დრო ამხ. ნიანგო.

— როგორი ხვდებით რესპუბლიკურ საგზაო მშენებლობაში?

— ჩვეულებრივად...

— როგორ, ჩვეულებრივად?

— ისე, ამ ერთი თვის განმავლობაში ვიღაც კეთილი კაცი აღმოჩნდება, რომელიც დაგვეხმარება გეგმების შედგენაში. გეგმა როცა გვექნება, საქმეც ამოწურულად ჩაითვლება.

ჭყიშლი.

### გაფრთხილება.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი ცნობა:

თბილისელ ქურდ-ბაცაცების ჯგუფს გამოუცხადებია ერთმანეთში შეჯიბრი იმის შესახებ, თუ ვინ მოხსნის უკანასკნელ ერთად-ერთ ელექტრო-შუშას აკ. წერეთლის ქუჩაზე და მთლიანათ დაამბნელებს მას.

ეს იმიტომ, რომ უფრო ადვილი შეიქნეს მათთვის ამ ქუჩაზე მოთავსებულ მაძებარ მილიციის შენობის გაქურდვა.

ვინაიდან ამ ქუჩის თითქმისყველა სახლებში უკვე მოხდენილი იყო გაქურდვა, ეხლა ჯერი მიდგა მაძებარ მილიციის შენობაზე.

ჩვენ ვაფრთხილებთ მაძებარ მილიციის ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს, რათა ფხიზლათ იყვნენ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზატკეცილზე სეირნობა

რა ხანია ფიქრად მქონდა—შევხვედროდი ვინმე ძმობილს,
რომ სხვადასხვა სუფთა გზებზე ვესეირნე ავტომობილს.
გადავწყვიტე შოფერებთან მეგობრობის დამყარება
და ავტოზე სეირნობით ჩემი გულის გახარება.
შეპყრობილი ავტო-გზებზე ავტო-ფიქრით, ავტო-სევდით,
ამ განზრახვით ყოველ შოფერს ვეცნობოდი, ლუდს ვასმევდი.
ასეთ ხერხმა მართლა გაჭრა, შევუყვარდი ერთ-ერთ შოფერს,
და ათ ქიქა ლუდის შემდეგ, მე ავტოში ჯდომა მშობე.
და ჰა, ჩამსვა მან ავტოში, გვერდს მომისვა ვიღაც ქალი:
ალბად ისიც მსგავსად ჩემდა, კონტრაბანდად მიმავალი.
და გაფრინდა ჩვენი ავტო მოელვარე შარა-გზაზე,
ქალს არ ვაქცევ ყურადღებას, დიდკაცურად ვუმზერ გაზეთს.
არ გასულა დიდი ხანი, რომ რაღაცამ ზურგში მჩხვლიტა,
ტკივილისგან თვალი ვჭყიტე და იმ ქალმაც თვალი ჭყიტა.
თურმე ავტო დაეტაკა გზა-ტკეცილის ჩათხრილ ალაგს,
და შოფერმა ორივენი, ძირს ჩამოგვსვა გულნამწყრალად.
სამივენი ვეცით ავტოს და თხრილიდან ამოვაძვრეთ,
კვლავ ჩავსხედით დიდკაცურად და მგზავრობა ჩვენ განვაგრძეთ.
ორი-სამი წუთის შემდეგ შეტორტმანდა ავტო ისევ,
თავი ველარ შევიკავე და დავეცი ქალის კისერს.
თურმე ერთ-ერთ მოსახვევში გზას ჰქონია ქვევით ფერდი.
წვიმისაგან ჩარეცხილი, ნაკლიანი ერთი მკერდი.
როგორც იქნა გავიმარჯვეთ, წინ გავსწიეთ პედიდურად,
მაგრამ გულში ბოლმად ჩამრჩა ქალის კისრის თბილი ქურა.
როცა ცოტა გავიარეთ, კვლავ გვკიმტყუნა ბედის წერამ,
უცებ ქალი შეშლილივით შეხტა, მკერდზე დამეძგერა.
თურმე გზაზე გათხრილიყო ნაპრალების გრძელი ხვრელი,
სწორედ ამან დამაძგერა ჩემს დაშა, როგორც მგელი.
კვლავ განვაგრძეთ სეირნობა, ამ ხიფათსაც გადაურჩით...
უცებ ვხედავ: ქალის ტუჩებს, ეკონება ჩემი ტუჩი.
მსურს მოვშორდე, მაგრამ არა; ვერ ვუმაგრებ წელს და სხეულს...
თურმე ერთი დიდი ლოდი ჩვენს წინ ედვა ამ გზას წყეულს.
ეს ხიფათიც გავიარეთ და შევიშვრეთ ოფლი ტანზე;
უცებ მე და ჩემმა დამამ ერთმანეთსა ხელი ვსტაცეთ;
შემდეგ ბიძგმა ავტოს ფსკერი, თავზე ნოხად დაგვაფინა,
ბოლოს ზევით აგვიტაცა და ზეცისკენ აგვაფრინა.
ჩახვეულნი დიდხანს ასე, დავფრინავდით ვით აკვანი,
ბოლოს სადღაც ხეობაში მოვადინეთ ჩვენ ბრაგვანი.
როცა ისევ მოველ გონზე, სადღა არის ჩვენი ავტო?
ჩახვეულნი, ჩაბღუჯილნი, ვასვენივართ ხრამში მარტო.
ცხვირ-პირი სულ ჩაგვეჭყლიტა და არც ერთი კაცს არ ვგავართ;
მე ბარძაყი მომწყვეტია, მოსტეხია იმ ქალს გავა.
აი თურმე ზოგიერთ გზას, როგორი აქვს კანი, გარსი,
არ მგონია ბევრი იყოს, ჩვენში გზები ამის მსგავსი.
მე კი ხვალვე ზაქსში წავალ, რომ ვითხოვო ის გოგონა;
გზატკეცილზე იმ ავტოთი სეირნობის მოსაგონად.

**შ. კუჭაძე.**

# ს ი მ ღ ე რ ა

**ტფ. რაიონის ინჟ. მაისურაძისა**

თუ ტფილისის რაიონს
გზები არ ვარგებულა,
ამით ერთი მითხარით
რამე დაშავებულა?..
არ ვარგა და ოდესმე
გავაკეთებ კარგადა,
რომ არ აწყვეს ტფილისსა
გზები ზედმეტ ბარგადა.
მხოლოდ ჯერ დამაცადეთ,
დავისვენო ტკბილადა,
ჩეროში კოტრიალისა
ეხლა რა სჯობს გრილადა?
იცოდა ორი პროცენტი
შევასრულე გეგმისა,
მაგრამ ეს რაიონი
ჯილდოს კვლავ ვერ ეღირსა.
ლიუქსემბურგმა თუმცა
ას თორმეტი პროცენტით
შეასრულა გეგმა და
სტკბება შრომის კონცერტით...
ხვალაც ამ თვის არ არის?
ჩემი ფიქრი არისა,
გეგმას ხომ შევასრულებ
მე ამ წლისას გაისად...

„საქგზატრანსმა" ავანსათ
ჯილდო გამომიგზავნე,
შემდეგ რამდენიც გნებავთ
ამ ჩვენ გზებზე იმგზავრეთ..

**ტლინკი.**

ავტო-გზის ინჟინრები იშვიათად დადიან რაიონებში გზების გასაკეთებლად და დასათვალიერებლად.

ნახ. ალდანოვასი.



— როგორ უნდა წავიდეთ რაიონში, როცა ასეთი ცუდი გზებია!

# იშქილ-მიშქილი

„სამტრედიის რაიაღმასკომმა შუა მდგომლობა აღძრა საქ. ცაკის წინაშე საგზაო შრომის ბეგარის დღეების რიცხვის, რომელიც 7 დღით განისაზღვრება — 15-დი ავყვანის შესახებ, მაშინ, როდესაც დაწესებული დღეები ზემოაღნიშნულმა სექტემბერში მხოლოდ 26 პროცენტი გამოიყენა“.

**უჩინ-მაჩინი.**

სამტრედიის აღმასკომს
რომ არ სჭამოს სირცხვილი,
რომ ფონს მშრალად გავიდეს —,
უხმარია იშკილი.
გზების კეთებაში რომ
არ დაედვათ ბრალია —
„მოუხდია“ კვაჭურად
მას ქვეყნის წინ ვალია.
რა მან ნახა, რომ გეგმა
ნაღდათ ჩანაფლავია
და „მიღწევის“ წყალობით
ეჯავება თავია.
რომ შესრულდა გეგმა სულ
ოცდაექვსი პროცენტით,
ცოდვის დასაფარავად
შეიცვალა აქცენტი:
— მე შვიდი დღე, — იძახის· —
აბა რას მეყოფაო?
როგორ შევქნა შვიდ დღეში
მე ახალი ყოფაო?
ხომ არა ვარ მეუფე,
ხალხს რომ სწამდა ძველადო.
რომ ერთ კვირას ქვეყანა
„ავაშენო ხელადო“?
შეტევა და ტემპები
მოდი, ჩემთან იკითხე!
თუ შეუტევ, — შეუტევ!
რას მიქვია შვიდი დღე?! —
ცაკს მიმართა: „ტემპი რომ
ღირსეულად დავიცვა,
გამიდიდეთ ბეგარა
ცამეტი დღით მაინცა“.

ხშირად, როცა კვაჭურად
ენის კლიტის ჯარასა
ატრიალებ, — ვინ გეტყვის:
„არ აკეთებ არასა“?
სამტრედიაც ასე სჯის,
ის შვიდ დღეხაც ძველადა
გზისთვის არ იყენებდა,
დღეს კი, განგებ, ხელადა —
შვიდში ოცი ითხოვა
„გზის საყვანად ველადა“
თითქოს, მაგრამ ნამდვილად
თვალის ასაბმელადა.
ამას ქვია: თუ გინდა
გამოლმართი მხარეო
შენ გარგუნონ, (ასეთი
ხერხი მოიხმარეო!
მოიკრიფე ძალ-ღონე,
შეუტიე გალმაო,
გამოლმართიც ლუგრეხება
სხვმეც წავა წალმაო.

**მელუზა**

# ბეწვის ხიდი

ნახ. ქოქიაშვილის.



პირვ. ეშმაკი—ჩვენი კერძია, აუცილე-ბლად ჩამოვარდება, ბეწვის ხიდზე ვერ გავა!

მეორე ეშმ.:— ისე გავა, რომ შენც გაგიკვირდება! თავის სოფელში ისეთ ხიდებზე უვლია, რომ ეს ბეწვის ხიდი მონაგონიც არ არის!

# აღმოჩენა

არ მინდა პატივცემულ ევგენ დვალის კონკურენტობა, მაგრამ ჩემის აზრით შოთა რუსთაველი ჩოხატაურიდან უნდა იყოს! ეს მტკიცდება „ვეფხის ტყაოსანის“ ერთი ადგილიდან, სადაც შოთა ამბობს :

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე
სჯდა მტირალი წყლისა პირსა“...

ეს წყალია მდინარე სუფსა, რომელიც ნავომარის ქვემოთ ადიდების შემდეგ გზებსა და ყანებს სავსებით ფარავს. საწყალი ტარიელიც ალბად ჩოხატაურიდან მონავალა ოზურგეთის ბაზრობაზე ნესტანისთვის გრამაფონის საყიდლად, მიდგომია მდინარით დაფარულ გზას და ტირილი დაუწყია. ტარიელი გურული კაცი ყოფილა და ვინაიდან შოთას გმირები გურულები არიან და გურიაში მოქმედებენ — შოთაც ჩოხატაურელი ანუ გურული კაცი უნდა იყოს. სამაგიეროდ გზა - ტკეცილების სამმართველოები ყველანი დაბა რუსთავიდან უნდა იყვნენ, რადგან ისინი დღესაც შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ ოზურგეთ - ჩოხატაურია გზის შეკეთებას, სადაც მე ჩემის თვალით:

ვნახე ავტო უცხო რამე.
ჩაფლულიყო ლაფის ძირსა.
მეეტლეებს უხაროდათ,
მორეოდათ ღიმი პირსა.

**მ—ზა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზათა შეჯიბრება



### 1. გზატკეცილი

მე ფართო გზატკეცილი ვარ
ქვითა და ხრეშით ნაგები,
სწრაფი სვლის ხელისშემწყობი,
ამ მხრივ ყველასგან საქები!
ქალაქის შვილი, სოფლისა
ჯერ კიდევ უცხო სტუმარი.
ვხმაურობ მოძრაობითა,
იშვიათად ვარ მდუმარი,
ავტოებს მიმოვაქროლებ
ვარ ძველის უარმყოფელი,
სადაც კი მე გამიყვანეს,
გარდიქმნა იგი სოფელი!
ეხლა ვეწვიე სვანეთსაც
გავავლე ფართო კვალია,
გავჭერი სალი კლდეები
აქამდე მიუვალია.
მომაქვს ახალი ცხოვრება
სოფლებო მომიჩქარია,
ვისიც არა ვარ სტუმარი
იმას ვერ გაუხარია!

### 2. შარა-გზა ძველებური.

ძველებური ვარ შარა-გზა
მდუმარე, ხავსით ნაფარი,
მიყვარს, ტალახი ჭაობი
ვარ ბაყაყთ თავშესაფარი.
გზატკეცილს ბევრად ვჯობივარ
მაქვს ძველებური წესია,
ქვით, რომ არა ვარ ნაფენი
მიტომ ვარ უკეთესია!
სოფლისთვის სასარგებლოსა
ვინ ნახავს ჩემისთანასა,
ხარ-ურემს როცა ჩავითრევ
მივალეზინებ ვანასა.
როდესაც წვიმა წამოვა
მეწვევა ღვართა ხვავია,
და ჩემზე გავლისათვისა
საჭირო არის ნავია,
ამა სურათის დანახვა
მართლაც, რომ მომხიბლავია,
თავი შეურცხვეს გზა-ტკეცილს
სად ბულბული და ყვავია!
ამას გრძნობს სწორედ ყველანი.
თემსაბჭოს თავმჯდომარეცა,
მიტომაც არ მაკეთებენ
მიტომ ვარ აქ მდუმარეთა,
ან განათება რად მინდა
როცა მანეთებს მთვარეცა!

### 1. გზატკეცილი

ტყვილად ტრაბახობ შარა-გზავ
დათვლილილა გაქვს დღენია,
მოვდივარ შენს შესაცვლელად
მე ფრთები გამიფენია,
ვერ შემაჩერებს აწ მავნე
რომ ზუდობს აგერ-ეგერა,
ქვა-ხრეშით რომ გადაგფარავ
თვით ნახავ, თუ რომ არ გჯერა!

**შ. შხუნელი**





7-8 წელია რაც დაიწყო სურამ-ძირულის გზის მშენებლობა, მაგრამ მი- [illegible] ეს გზაც კი არა აქვს საგზაო სამმართველოს გათვალისწინებული.

ნახ. ქოქიაშვილის

ოგოგა: (თავისთვის) შვიდი ზაფხული გავიდა „გზას" რომ „ვამშვენებ" ჭკელებით საქგზის ტემპების ჭირიმე, დავკოცნე მისი ხელები.

# ნიანგი რაიონში

(ნიანგის საუბარი ხარაგოულის რაიაღმასკომის თავმჯდომარესთან)

— რაღაა თქვენი გზების საქმე, ამხანაგო?

— რომელი გზების ამხანაგო ნიანგო, რკინის გზების, თუ გზატკეცილების?

— გზატკეცილების, თუ კი შეიძლება თქვენს გზებს დაერქვას ასეთი. ამბობენ პირდაპირ კლდეებზე ადის თქვენი გზებიო, მართალია?

— მართალია, ამხ. ნიანგო, მაგრამ რომ ფუნიკულიორია იმას თუ აჯობებს თუ არა, არ ჩამოუვარდება მაინც შედარებით.

— მერე და შედარებას ვერაფერი მოუხერხეთ, რომ ურემმა თავისუფლად გაიაროს?

— ამხანაგო, ტყვილა რაზედ უნდა გავაწვალოთ ხალხი. გარდა ამისა ცოდვა არ არის მამა-პაპური გზების მიჩვევ-მოჩვევა და ამ საამაყო ისტორიული ნაშთის განადგურება? მართალია ხშირად მარცხია ამ გზებზე: ურმები ხშირად იჩეხებიან, მაგრამ ეს შემთხვევით ხდება ხოლმე.

— ამბობენ სამი ინჟინერი და 4 ტეხნიკოსი გამოგიცვლიათ ამ წელიწადშიო, მართალია?

— სრული სიმართლეა ამხანაგო, მაგრამ მიზეზებიც იყო. ესაო და ძალიან შედარებითაო, მუხლები გვეტკინება სიარულითო და ყველა გამორბოდა უკან ციპაძის მოზვერივით. შედარებითა, აბა წყნარი ოეკანესავით გატკეცილი რაიონი რომ მქონდეს, ინჟინერს კი არა „პარახოდს" მოვიყვანდი სამუშაოდ!

— ამბობენ ტეხნიკური პერსონალს ჯამაგირს არ აძლევდით თავის დროზე, არაფრით არ ამარაგებდით; საერთოდ მათი პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრი სულაც არ გქონდათ და ყოფილა შემთხვევები, რომ სამიოთხი თვე ისე გაივლიდა, რომ თქვენგან ყურგახვრეტილ კაპიკიანს ვერ ღირსებოდენ...

— ეგეც სრული სიმართლეა, ამხანაგო, მაგრამ ამასაც ქონდა თავისი ობიექტიური მიზეზები და ჩემი ბრალი არაა...

— ამბობენ აღმასკომის თანხებსაც არ ახმართ საგზაო მშენებლობას და იყენებთ სხვადასხვა საჭიროებისათვისო, მართალია?

— სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ დროებით ხელს მოვინაცვლებთ ხოლმე.

— ერთთვიურს როგორ ხვდებით საგზაო მშენებლობაში?

— დიდებულად. ასეთ ერთთვიურს ჩვენ უკვე მესამეთ ვატარებთ ამ წელიწადში და უნდა მოგახსენოთ, რომ სათანადო ნაყოფიც გამოიღო...

— წლიური გეგმის რამდენი პროცენტი გაქვთ შესრულებული ამ ერთთვის განმავლობაში?

— 0,6 პროცენტი.

— აფსუს, ხარაგოულო, [illegible]-მაღალივით გაქანებულა რაღა.— ჩაილაპარაკა ნიანგმა და ხელი ჩაიქნია.

**მნახველი.**



— ნახვამდის... მშვიდობით მგზავრობა!

— ჰმ! გამოიგონა.. მშვიდობიანი გზა მთელ ჩვენს რაიონში არ არის.

# ჩემი მოგზაურობა

საგზაო მშენებლობაში ერთთვიურის გამოცხადებასთან დაკავშირებით ამხ. ნიანგის დავალებით გავემგზავრე რაიონებში..

პირველად სიღნაღს ვეწვიე. აღმასკომის თავმჯდომარე გლახა გურებაზედ დამხვდა:

„ვილაც უხილავმა „ნიანგში" ჩამაგდო გზების საქმეზე სულ ტყუილა-უბრალოდ. რა ვუყო კაცო ორიოდე ტეხნიკი მყავს, რომლებიც ხან ერთ სოფელში დაგლიჯინობენ ფეხით და ხან მეორეში და სულ მუდამ გზებზე არიან გაკრულნიო"—შემომჩივლა თავმჯდომარემ.

— რატომ ცხენი არა გყავთ ტეხნიკური პერსონალისათვის? აბა ფეხით როდის უნდა მისწვდენ სამუშევრებს, სათანადო ზედამხედველობის გასაწევად?

— ამ სიცხეში ამხანაგო აბა რა საჭიროა ცხენი, განა ფეხით სიარული არ სჯობია ეხლა გაოფლიანებულ ცხენზე ჯდომას?

სიღნაღიდან ლაგოდეხს ვესტუმრე. საგზაო განყოფილება უზომოთ დამწუხრებული იყო. „რაღა ჩვენს ჯინაზე გამოცხადდა ეს ერთთვიური. გეგმის მხოლოდ 9 პროც. შევასრულეთ და რაღათი უნდა დავეწიოთ ამდენ გაწყრებულ რაიონებს ამ სიცხეშიო"—მითხრა რაისაგზაო სექციის გამგემ.

— რატომ არ ჩააბამთ მუშაობაში სხვადასხვა ორგანიზაციებს: კომკავშირს, პროფკავშირს, რაიკოლმეურნეთა კავშირს, ავტოგზის ორგანიზაციას და არ დარაზმავთ მოსახლეობას საგზაო მშენებლობისათვის?

— თავიდან ვერ მივაქციეთ ყურადღება კარგად და ეხლა რაღას უშველით?

— გზების საქმე გამოასწორეთ, თორემ თქვენ თავს „ნიანგს" ჩავასაპნიებ მეთქი დავემუქრე მე.

„ნიანგის" ხსენებაზე ჩემი მოსაუბრე ერთბაშად გარდაიქმნა; კილო შეიცვალა, შაქარივით დადნა, ენა მოიქარგა და დაიმედებული გამოვიშვა, რომ გეგმას 100 პროცენტით შეასრულებს.

გურჯაანის, ხონის და თიანეთის რაიონები სადათას ძილს მისცემოდენ.. ჩემს შეკითხვებზე, თუ როგორი ხვდებით ერთთვიურის ჩატარებას მეთქი,—ყველამ ერთნაირად მიპასუხეს:

— ჩვენ პირველი ნახევარი წლის განმავლობაში სულ გრიალით მივდიოდით წინ და გზების საქმე „შტრიხკათ" დავაყენეთ' რაზედაც „საქგზატრანს"-მა კიდეც დაგვაჯილდოვა. ეხლა კი ეს ორი თვეა ცოტა შევისვენეთ, რადგან ჩამორჩენილ რაიონებს უცდით, რომ გული არ წაუხდეთ.

— თქვენ ძილში ალბად ვერ გაგიგიათ, რომ მრავალი რაიონები: მარტვილი, ოზურგეთი, ქვემო-სვანეთი, გორი, ბაღდათი, ზესტაფონი და ვინ იცის კიდევ რამდენი, არა თუ წამოგეწიათ, არამედ კიდეც გაგასწრეს. - გავახსენე მე და ამ სიტყვებზე ჩემთვის უბის წიგნში რაღაც აღვნიშნე. ჩემს თანამოსაუბრეებს თითქოს ტანში უგრძნოთ, ეს კაცი რაღაც საეშმაკოდ არის ჩამოსული და ვაი თუ „ნიანგში" ჩაგვაგდოსო და მორიდებით დაიწყეს:

— უკაცრავად, ამხანაგო, თუ ცოტა ჩავთვლიმეთ. ჩქარა აუცილებლად დავიძვრებით წინ და 100 პროცენტიან გეგმას გვერდზე გადმოვაყირავებთ.

**სოკრატიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მონადირენი

ნახ. ალადაშვილისა



1-ლი თევზი:—რაკი საქთევზმა დაგვივიწყა ჩვენ გადავწყვიტეთ საქთევზის მონადირეებზე ნადირობა!
2-რე:—ბადეს რათი მიუწვდენ, როცა ისე შორს არიან, რომ ტელესკოპითაც ვერ ვამჩნევ.

# „რეფლექსიური“ სახელმძღვანელო

არსებობს მესამე ჯგუფის ქართული ენის ძირითადი სახელმძღვანელო, სახელად „შრომა“. მისი ავტორი ოთხი კაცია: (კ. გრიგოლია, ასლანიშვილი, ხარებაშვილი და ხუბუტია). და ოთხ ავტორში ერთსაც არ მოსვლია აზრად, რომ ამ წიგნისათვის დაერქმია სხვა უფრო შესაფერი სახელი „რეფლექსიური სახელმძღვანელო“.

— რატომ მაინცდამაინც რეფლექსიური? —იკითხავს გაკვირვებული მკითხველი.

— მიტომ, რომ ამ წიგნის „რეფლექსიურად“—შერჩეულ მასალებში ხშირად გხვდებათ ასეთი „რეფლექსიური“ მარგალიტები:

**ავტომობილმა გაიშხუილა**
**ვით შურდულიდან გატყორცნილ (?) ქვამა**
**სახლში სარკმლებში (?) რეფლექსიურად(?!)**
**შეძრა მინები შემოჭრილ (?)ხმამა.**
**ქუჩებში ზოგად (?) და კანტი კუნტად**
**თითო თუ წყვილნი მოდიან ზლაზვნით**
**მეტვირთე მუშა მოათრევს (?) კურტანს**
**მოსდევს მას ვირი რძითა და მაწვნით.**
**აგერ იძახის ნავთის მყიდავი (თუ გამყიდველი?)**
**მას მენახშირეც გაეხმაურა.**

და ქვევით ამბობს:

ელექტრო სიმმაც ატეხა „ვაი“

(„ლექსი“—„დილა ტფილისში“, გვ. 34).

ძვირფასო ავტორებო და დიდო პოეტებო! ელექტროსიმები „ვაის“ არ ატეხდენ.

— ვაის ატეხდენ მხოლოდ ის მოწაფეები, რომლებიც ასე „გამართულ“ და იდეოლოგიურად „გამართლებულ“ „პოეზიით“ იკვებებიან. ძალიან ვწუხვართ, რომ ჩვენმა რედაქციამ დღემდე ვერ დაამშვენა ამ ლექსის ავტორის შემოქმედების ნიმუშებით „ნიანგის“ ფურცლები—„საუცხოვოთ“ ხატავს ეს „ლექსი“ სოციალისტურ ქალაქს, სოციალიზმის მშენებლობას. ამ ლექსის მიხედვით თქვენ თვალწინ იშლება საბჭოთა ინდუსტრიალურ ქალაქის ასეთი „წარმტაცი“ სახეები: მეკურტნე მუშა, რომელიც „საყვარელ“ კურტანს (ტეხნიკაა რაღა!) მიათრევს, ვირი... მენახშირე... ვირი... კურტანი აი თურმე ჩვენი ტრანსპორტის ჯანვითარების უმაღლესი ფორმები. აი სოციალისტურ ქალაქის „უბადლო“ სურათი,

ლექსის სტილი ხომ შეუდარებელია; რად არ ღირს თუნდაც სტრიქონი: „**სახლში სარკმელში რეფლექსიურად შეძრა მინები შემოჭრილ ხმამა**“... აზრი „ნათელი“ და „გასაგებია“, ხომ, პატივცემულო ავტორებო? როგორ უნდა გაიგოს მესამე ჯგუფის მოწაფემ ისეთი რთული ცნების გამომხატველი სიტყვა, როგორიც არის „რეფლექსიური“.

— ლექსიკონის საშუალებითო—იტყვიან ზოგიერთები, მაგრამ გავყვეთ საკითხს კვალდაკვალ. ვთქვათ, მოწაფემ მართლაც გადაშალა ლექსიკონი და მონახა სიტყვა რეფლექსი. აი რას ამოიკითხავს ის ამ სიტყვის შესახებ:

**რეფლექსი—ნერვიული აქტი, როდესაც გარეგან გრძნობათა ორგანოები განცდილ გაღიზიანებას გადასცემენ (ნერვების ცენტრალურ სისტემის მეშვეობით) მამოძრავებელ ნერვებს, რომელიც ამ გაღიზიანების ზეგავლენით მოძრაობას იწყებენ ავტომატიურად“.**

ცხადია, მესამე ჯგუფის მოწაფე ვერც ამ განმარტებას გაიგებს და თუ ზევით მოყვანილ წინადადებაში ერთი სიტყვა გაუსდა „საკვანტოდ“, ამ განმარტების დროს ერთის ნაცვლად ოცი „საკვანტო“ სიტყვა გაუჩნდება. აი როგორი მისაწვდომი ენით არის დაწერილი ეს „რეფლექსიური“ სახელმძღვანელო. აი რას სწავლობენ მოწაფეები, ნ. ძიძიგურის და პ. აფხაძის კულტურულად შედგენილ „ჩირაღდანი“-ს შემდეგ, თუ ამ რეფლექსიურ ლექსში ავტორებმა ვირის და კურტნის აპოლოგია მოგვცეს და ელექტრო მავთულს „ვაი-ვუი აძახებიეს“, მეორე ადგილას სამაგიეროდ მანქანები აღრიალეს (?).

აი თვით ლექსი, სადაც თურმე მანქანები მღერიან:

**მანქანები ვართ ქარხნისა**
**რკინის, ქაღალდის, თუჯისა,**
**ვგუგუნებთ, ვცეკვავთ, ვტრიალებთ**
**და სულ ამ ხმაზე ვღრიალებთ:**
**ბოჰ, ბოჰ, ბოჰ, ბოჰ,**
**კარგი-კარგი-კარგი-კარგი“**

(„მაუდის ქარხანაში“ გვ. 53).

დაე „შრომის“ ავტორებისათვის ძაღლმა იჩხავლოს, კატამ იყეფოს და ძროხამ იჭიკჭიკოს, მაგრამ გვიპასუხოს ძია სახელგამმა, სანამდი ფიქრობს იგი, რომ გრიგოლიასა და სხვების „შრომამ“ მესამე ჯგუფის ძირითად სახელმძღვანელო წიგნათ იჩხრიალოს?

**სიპიტო.**

# ს ა ხ ე ლ გ ა მ შ ი

ნახ. დონის



ჰონორარი.., ჰონორარი.:: არც დღეს არი.:: არც ხვალ არი:::

---

# ჰ ო ნ ო რ ა რ ი

## (გოგოლისებური)

ისპანიაში იყო მეფე და ის მეფე აღარ არის...

სამას სამოცდახუთი ანგელოზ..: ფუი ეშმაკს! სამას სამოცდა ხუთჯერ ვიყავ სახელგამში, მარა ერთხელაც ვერ მივიღე ჰონორარი

ჰონორარი... ჰონორარი, სახელგამში მივიჩქარი..: მივქრი, როგორც ველზე ქარი::: მითხრეს უარი, არც დღეს არი, არც ხვალ არი...

იტალიაში არის მეფე ემანუილი და სახელგამს უყვარს ტყუილი... საბჭოთა კავშირში აღარ არიან მეფე, ბარონები და ლორდები... მხოლოდ სახელგამში არის ერთადერთი ბარონი და მის თანაშემწეთ—ლორდი ქიფიანიძე... დღეს კარგი ამინდია..: მოსალოდნელია სახელგამში კაი მოსავალი და ლორდის კარგ ხასიათზე ყოფნა... მარა ორივე ერთად რომ არ შეიძლება?!

საწყალი გოგოლი, ჩემსავით ობოლი... ობლის კვერი ცხვა, ცხვა და რომ არ გამოიღო ბარონმა ცეცხლიდან, ქე დაიწვა... დარჩა საწყალი ობოლი ხახა მშრალი..: ხა-ხა-ხა-ხა!

ვინ თქვა ჩემზე — ჭკუაზე არისო? მიუქარავს... ეს ცილისწამებაა... თავში მცემე ცულის ყუა, შიგ არ შოვა მაინც ჭკუა::: აფსუს, რა კაი ბიჭი ვიყავ მინამ მწერლობას დავიწყებდი და სახელგამთან საქმეს დავიჭერდი!

მოთხრობა ერთ თვეს დავწერე... ერთი წელიწადია სახელგამში დავდივარ.. მაშინ ისპანიაში იყო მეფე და ეს მეფე მე ვარ... უკაცრავად, მეფე კი არა, პატიოსანი კაცი ვარ, მწერალი, მარა სახელგამი არ მიჯერებს. შეშლილის წერილებიაო!.. აბა რა იქნება? უჰონორაროდ შეშლილებიც არ წერენ...

რატომ შეიშალა გოგოლი და დახია „მკვდარი სულები“?.. ალბად სახელგამში დადიოდა ყოველდღე ჰონორარის მისაღებად, ნერვებმა ვეღარ გაუძლეს და შეიშალა. ძალიან კაი ქნა... ალბად სახელგამზე დაწერა „მკვდარი სულები“..: დაწერა და დაწვა,—სულერთია, ჰონორარს სახელგამი მაინც არ მაღირსებსო... შეშლილი კი არა, ჭკვიანი ყოფილა... ყოჩაღ, ბიჭო!

ისპანიაში იყო მეფე და... აღარ არის.

შვებულებიდან დაბრუნდა ბარონი. ხა-ხა-ხა-ხა.

ისელი.

# ჩემი ქვეაბონენტები

ვა, ამაზე მეტი უბედურება გინახავთ?! მივქარე, რომ გამოვიყვანე ელექტრონი. ვგდებულიყავი ჩემთვის, ამენთო სანთელი და ლამფა.

სახლში ამიტყდნენ: ყველას ელექტრონი აქვს გამოყვანილი, თბილისში ვართ და უელექტრონოთ უნდა ვიყვეთ?! უთო გვინდა, ელექტრონის ღუმელი გვინდა, ელექტრონის ჩაიდანი გვინდა, მით უმეტეს თბილისში (მოგეხსენებათ თბილისის „მომარაგება“ ზამთრობით შეშით)

მეც და მეც ჩემდა საუბედუროდ (და მეზობლების საბედნიეროდ) „ეშმაკმა“ წამძლია და გამოვიყვანე ელექტრონი. მერე ხომ იცით, „ტელასი“ გაყვანილობას აღარ აკეთებს კერძო მონტიორმა კი საქალამნე ტყავი გამაძრო.

ასე იყო თუ ისე, წვალების ტალკვესმა, აანთო ელნათური და ოთახი სინათლის ნაპერწკლებით მოიფინა.

ოთახი ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით მოვაწყვე, აღარც ნავთი მინდოდა, აღარც შეშა, მაგრამ ერთ ჩემთვის შავ დღეს მეზობელმა გამიცხადა:

— შენი მრიცხველიდან სინათლე უნდა გამოვიყვანოო.

მე უარი ვუთხარი. ვიფიქრე:—მაგასთან შეერთებას სიკვდილი მირჩევნია, მოსვენებას აღარ მომცემს მეთქი.

— როგორ, უარს მეუბნები?—შემომიტია მეზობელმა.

— უარს გეუბნები, აბა ვერ გაგიბედავ, თუ?

— კარგი და ეს ვაჟკაცი მოკვდეს, თუ თანახმად „ტელასის“ წესებისა, სინათლე არ შეგიშერი.

გავიხედე და მართლა ძირში არ მიმიჭრა ტელასმა სინათლე?

მინამ არ შეიერთებ მეზობელს, არ მოგცემთ სინათლეს—მითხრა ტელასის აგენტმა.

მეორე მეზობელმა ისე შეაერთა, რომ არც კი უკითხავს.

ახლა კი ყოველ ღამე მდარაჯობენ ჩემი ქვეაბონენტები, რათა მეტი ხანი არ მენთოს, ან ელექტრონის უთო არ ვიხმარო. (თორემ ჩხუბისთვის მზათ არიან).

აი რა მიყო „ტელასის“ წესებმა და კანონებმა

კალმოსანი.

# კოლა „მქაფავი“

## (ოზურგეთის კვებისათვის)

გურიაში ყველა იცნობს...
თითქმის აქაც იცნობს ყველა,
ძველის-ძველი ჩარჩი არის,
და მსუნაგი, როგორც მელა.
ყბედი არის... ზარმაცია...
ერთი სიტყვით, მუქთა-ხორა,
გაძღება და პირჯვარს იწერს —
მეტმა „ქაფვამ“ გაალორა...
გამგე არის სასადილოს, —
— შიგ თუ შედი ჭამე რამე
ოც დღეს კიდევ არა უშავს..
ერთი თვე თუ არ იწამე...
ღვინოს ყიდის, — ძმარი არის
ბორში კიდევ მარტო წყალი...
მისი ქცევა აგაღელვებს,
რა გინდ იყო დინჯი-წყნარი...
ხალხი ამბობს — ამ კაცს ნეტავ
ვინ, ან როდის მოგვაშორებს.
ვინ გასწმინდავს სასადილოს,
დღეს რომ ბოსელს მოგვაგონებს...

კოკო.

# უმარკო წერილი სახელგამს

პ. ც. სახელგამო! (ამხანაგობით ვერ მოგმართავ, რადგან ეგებ ზოგიერთმა შენმა მუშაკებმა იუკადრისოს).

ჯერ ბოდიში უმარკო წერილის გამოგზავნისათვის. (უმარკოდ განგებ იმიტომ გიგზავნი, რომ მეტი იმედია — ფოსტა მოგიტანს და ჩაგაბარებს; მარკიან და დაზღვეულ წერილებს იშვიათად თუ მიუტანს ადრესატს. ამიტომ, ნუ გაჯავრდები უმარკო წერილისათვის).

განათლებული და სწავლული ბრძანდები, ამხანაგო სახელგამო (აწი ამხანაგობით ვილაპარაკოთ). შენთან საქმე აქვთ მხოლოდ მწერლებსა და მეცნიერებს, რომელთა მიმართ დღეს ხელისუფლება განსაკუთრებულ დარბაისლურ და თავაზიან მოპყრობას მოითხოვს ყველა დაწესებულება-ორგანიზაციებისაგან.

ჰოდა იმას ვამბობდი, რომ შენ ყველაფერი იცი და გაგეგება, მარა მინდა გითხრა რომ:

1. კარამზინი „ევროპის უწყებების" რედაქტორობისათვის წლიურად ღებულობდა 2.000 მანეთს.
2. ოზეროვმა თავისი პიესა „დიმიტრი დონსკოი" გაყიდა 2.500 მანეთად, ხოლო მეორე პიესა „პოლიქსენა" — 3.000 მან.
3. პუშკინმა „ბახჩისარაის შადრევანში" აიღო 3.000 მანეთი, „ბორის გოდუნოვი" — 10.000 მან.
4. კრილოვს თვითეულ იგავ-არაკში გამომცემელი აძლევდა 300 მანეთს.
5. ტურგენევი ბოლო ხანებში თვითეულ ბეჭდვითი ქაღალდზე ღებულობდა 400-500 მანეთს.

დასასრულ კიდევ ბოდიშს გიხდი თქვენი შეწუხებისათვის. ჩემი ჭკუის სწავლება რად გჭირიათ, თქვენ ასე განათლებულ და კულტურულ დაწესებულებას. მაგრამ გუშინ შემთხვევით წავაწყდი ამ ამბავს ლიტერატურულ ენციკლოპედიაში (იხ. გვ. 609-616).

ვიფიქრე` სახელგამი საქმეებშია გართული, ალბად ეს არ წაუკითხავს, თორემ დავიჯერო ამხ. ბარონი, თვითონ მწერალი ჰონორარს არ მოუმატებდა მწერლებს. რა თქმა უნდა მოუმატებდა და ალბად კიდეც მოუმატებს.

ეს მინდოდა გამეგებინებინა შენთვის, სხვა არაფერი.

**ზმუკი**

—:—

**წ. შ.** მო, ეგებ ამის შემდეგ სახელგამში ვინმემ გადაიკითხოს აღნიშნულ სიტყვარში სიტყვა „**ჰონორარი**" და მარი მომდევს, რომ იქ სხვა რამეც სწერია:

**ჰონორარი** — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გასამრჯელოს ფიზიკურ შრომისათვის.

ლიტერატურულ ნაწარმოებზე ჰონორარის დაწესება ბევრს მიაჩნდა თითქოს ეს იყო დაუშვებელი და არაკეთილშობილი საქციელი.

დიახ, ესეც სწორია, სახელგამს შეუძლია ბოლომდი ეს ხაზი გაატაროს და მოითხოვოს, რომ:

— ვინაიდან ჰონორარი ლათინური გაგებით ნიშნავს ფიზიკურ შრომის გასამრჯელოს, ასეთი არ უნდა მიეცეს მწერლებს, რომლებიც გონებრივ შრომას ეწევიან. გარდა ამისა, „დაუშვებელი და არაკეთილშობილი საქციელია შრომა მწერლობაში გასამრჯელოსათვის". ე. ი. ჰონორარის მიღება საძრახისია.

ერთი სიტყვით, ეს მინდოდა მეთქვა, რაც ვთქვი, სხვა არაფერი.

**იგივე ზმუკი**

# „ბალამ, ბალამ"

## (ზემო-აკეთი, გურია)

აგვისტოს თვის ოცდახუთში,
აქ მოგვიწყვეს წარმოდგენა!
მაგრამ წარმოდგენის ნაცვლად
დაითვრენ და იწყეს ლხენა.

—:—

სკოლის ეზო ჩვენი, ფართო
საქეიფო ბაღსა ჰგავდა,
კომისია ხელმძღვანელი
ვეძებთ და არსად ჩანდა,
სულ ყველანი დამთვრალიყვნენ,
თავმჯდომარე ბარნაბს გარდა.
საწყალ ბარნაბს სირცხვილისგან
სიმწარისა ოფლი წვავდა,
როცა გრიშას და ჩვენ კარლოს
ხალხი თავზე წყალს ასხამდა.
ორსაათის ჟამშიაც დაჰკრა
ლამემ უფრო ფრთა გაშალა,
ჩვენი პართენიც დაგვითრო
[illegible]ქიეთელ ღვინის ძალამ,
და ბუთიკოც მიატოვა,
იძახოდა: „ბალამ, ბალამ".
სამიკიტნო დუქანს გ[illegible]
კულტსახლე, სკოლის ბინა,
აქ კოლიამ ჩაგვიმტვრია
სკოლის ფანჯრის სამი მინა.
ხოლო ფულის გადახდაზე
უარი სთქვა, თან იწყინა.

**მესტვირე.**

# სტუმრად მწერალთან




**სტუმარი:** — გეტყობათ წიგნები ძალიან გყვარებიათ, კარგი მოვლილი გაქვთ!
**მწერალი:** — დიახ, ძალიან მიყვარს და კარგადაც ვუვლი; ხომ ხედავთ — არც ერთ წიგნის გვერდები არ არის გაჭრილი.

# ზაგზაო გეგარ

## ჩხარის რაიონში

— მეგობრებო, სად მიგაქვთ ურმებით აგური?..

— ჩხარის სასწავლებლის შენობისათვის, აგერ ერთი კვირაა ვმუშავობთ...

— მერე რას გაძლევენ დღეში?..

— არაფერს, საგზაო ბეგარაში გვითვლიან... წელს თითქმის ყველა მეურმეები აქა ვართ და ყველას გვითვლიან ბეგარაში...

— მერე ამ აღმართში როგორ აიტანთ ტვირთს?.. რატომ ახალი გზით არ მიდიხართ, უფრო ვაკეა...

— ეგ ახალი გზა კი არა აგერ მესამე წელია, რაც გაიყვანეს და დღემდე ზედ არავინ არ დადის...

— რატომ კაცო?..

— რატომ და არც ერთი ბოგირი არაა გაკეთებული და შველი ხომ არ არის ხარები, რომ გადაახტენ ამ უშველებელ თხრილზე...

— არ აკეთებენ თუ იცით?

— რა ვიცით რაისაგზაო სექციის გამგე აგერ სამი თვეა „ხარის თვალზე" არის წასული ხე-ტყის ჩამოსატანად და ჯერ არაფერი გამოუგზავნია... ისე გავიგეთ ძალიან რგებია რაჭის მ[illegible] და ჯერ-ჯერობით კიდევ არ აპირებს ჩამოსვლასო...

— ჰმ!!. ძალიან კარგი საქმეა!..

**უხილავი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. პ. ჩეხოვი

ჩეხოვი გასული საუკუნის დიდი მწერალია. მისი ბასრი იუმორი სასიკვდილო ლახვარს სცემდა მაშინდელ ცხოვრების უკულმართობასა და ადამიანის უარყოფით მხარეებს. მისი ტიპები დღესაც ბევრნი არიან. ამ გვერდზე მოთავსებულია ადგილები ჩეხოვის მოთხრობებიდან.

## ძველი პედაგოგი

ძველი პიდაგოგი იჯდა და ფიქრობდა:

— ვინაიდან რუსულ ენაში ახლა ბევრი ასო გამოვარდნილია და, აღარ იხმარება, მასწავლებლებსაც შეუმცირდათ მუშაობა და ამიტომ ჯამაგირიც უნდა შეუმცირდეს.

— რა საჭიროა მასწავლებლებისათვის თანამედროვე ლიტერატურის და ჟურნალ - გაზეთების კითხვა! დროს ჰკარგავენ. მაგრამ მოსწავლე როგორი იაუჯერებს ხელმძღვანელს, როცა ეს უკანასკნელი ხელიდან არ უშვებს წიგნებსა და გაზეთებს. რაც შემეხება მე, ამ მხრით მე უნაკლო ვარ — აგერ ხუთმეტი წელიწადი გადის და ხელში ერთხელაც არამიღია წიგნი და ჟურნალ-გაზეთი.

— თვალი უნდა გვეჭიროს, რომ მოწაფეს წიგნი ყდაში ჰქონდეს ჩასმული, რადგან წიგნით თავში ჩარტყმა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა წიგნი ყდიანია.

## ნაწყვეტი

ერთმა დიდმა ჩინოვნიკმა მოხუცებულობის დროს ნიილო „სტატსკი სოვეტნიკობა“ და ასეთი დიდი ჩინით პენსიაში გავიდა;

წერას დაჩვეული იყო და, სხვა საქმე რომ არ ჰქონდა, დღიურის წერა დაიწყო:

**3 მარტი.** გუშინ დაიწყო ფრინველების საზაფხულო მოფრენა. შელურები დავინახე. მათ მხიარულ ჟივილში, მე გარკვევით მესმის:

— სალამი, თქვენო აღმატებულებავ!

**14 მარტი.** ჩვენს მოსამსახურე ქალს ვკითხე:

— რატომ მღერიან მამლები ასე მალ-მალე?

— იმიტომ, რომ ყელი აქვთ.

— ყელი მეც კი მაქვს, მაგრამ არა ვმღერი!... ო, რამდენი უცნაურობაა ქვეყანაზე; როცა ქალაქში ვმსახურობდი, თითქმის ყოველ დღე ინდაურს ვჭამდი, მაგრამ ცოცხალი ინდაური პირველად გუშინ ვნახე... საუცხოვო ფრინველი ყოფილა.

**22 მარტი.** დღეს ბოქაული მესტუმრა. დიდხანს ვიმუსაიფეთ. შემეკითხა:

— თქვენო აღმატებულებავ, არ გსურთ, რომ გაახალგაზრდეო?

— არა, არ მსურს, იმიტომ, რომ ამ ჩემს ჩინსა და წოდებას ახალგაზრდას არვინ მისცემს! — ვუპასუხე მე. მას ჭკუაში დაუჯდა ჩემი აზრი და დაფიქრებული წავიდა.

**16 აპრილი.** დღეს ჩემი მოსამსახურე საყვედურობდა, რომ იგი ისე გასქელდა და გასუქდა, რომ სამზარეულოს კარებში ძლივს-ღა ეტევა.

მე კი ამაზე ვუთხარი:

— პირიქით, ჩემო კარგო, შენი სიმსუქნე და სისქელე ჩემს თვალში უფრო მიმზიდველად გხდის.

იგი ამ ჩემს სიტყვაზე გაწითლდა. მე ავდექი და ორივე ხელი მოვხვიე, რადგან ცალი ხელით ვერ შემოვსწვდებოდი.

**28 მაისი.** ერთმა მოხუცმა დამინახა ქალების საბანაოსთან და მკითხა:

— აქ თქვენ რას აკეთებთ.

— ვყარაულობ, რომ ახალგაზრდებმა არ უთვალთვალონ ქალებს ბანაობის დროს.

ეს კარგი მოსაზრებაა, ბარემ ორივემ ერთად უყარაულოთ. — მითხრა მან, ჩამოჯდა ჩემს გვერდით, და ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი ზნეობაზე.

## პესიმიზმი

(შემოკლებით გადმოქართულებული)

ერთ ლორჯოს შეუყვარდა ახალგაზრდა კალმახი.

— მიყვარს, მაგრამ მას არ ვუყვარვარ; იგი მშვენიერია, მე კი — მახინჯი. ჩემს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია.. შევეფეთები ლოქოს. გადამყლაპავს და.. ბოლო მოეღება ჩემს წამებას.. ო, უბედურო ჩემო თავო — ფიქრობდა ლორჯო და საბოლოოდ გადაწყვიტა თავის მოკვლა.

სწორედ ამ დროს ანკესი ჩემოვარდა წყალში. ანკესზე ჭიაყელას ნაჭერი იყო ჩამოცმული.

— ბედნიერი შემთხვევა თვითმკვლელობისათვის. — უცბად გაიფიქრა ლორჯომ და ანკესს ეცა.

მეთევზემ სწრაფად ამოაგდო ანკესი წყლიდან, მაგრამ ზედ მხოლოდ ცალი ყბა იყო ჩამოცმული.

— საწყალი თევზი.. რა უნდა ჰქნას აწ ცალი ყბით, შეეცოდა მეთევზეს და ანკესი ისევ გადაუგდო წყალში. ო, ბედის დაცინვავ — აქვითინდა ლორჯო და მწუხარებისაგან ჭკუიდან შეიშალა.

რა უბედური ვარ, ისევ უნდა ვიცხოვრო!

გავიდა ხანი.

ახალგაზრდა დამწყები პოეტი საბანაოდ ჩავიდა წყალში.

ლორჯოს იგი მეთევზე ეგონა, მიეპარა და ზურგზე ნაზად აკოცა. პოეტს ეს არც კი შეუმჩნევია, მაგრამ ამ კოცნას მისთვის საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა: — ლორჯომ იგი პესიმიზმით მოწამლა.

პოეტი ჩამოვიდა ტფილისში და ბევრ პოეტს გადასდო თავისი სენი.

ამის შემდეგ დაიწყეს ბევრმა ჩვენმა პოეტებმა პესიმისტურ და მელანქოლიურ ლექსების წერა.

[illegible]ტკოვის




როგორ უნდა გავითვალისწინოთ ზოგიერთ სკოლებში სწავლის საქმის „მოწესრიგება“ სასწავლო წლის დასაწყისში.

# არ გაყიდოთ

აგერ ულუფაში რომ იგრიჯხს,
ქშინავს, როგორიც ვაცია,
თურმე გაუყიდია
სესხის ობლიგაცია.
აგერ კოხტა ყმაწვილო,
რა ლამაზი კაცია!
გავიგე: მოუგია
მაგის ობლიგაციას.
ჩვენს საერთო კრებაზე
მოდის დელეგაცია:
—„ სიჩუმე, ნუ ხმაურობთ,
ამხანაგო ფაცია!
მოგიწოდებთ იყიდოთ
სესხის ობლიგაცია".
— „შეკითხვა შეიძლება?"
— „გვითხარ, რა გსურს ფაცია",
— „საიდან შევიძინო,
— ტუფლები არ მაცვია"?-
— „ვისაც გინდათ შეიძინეთ,
ჩვენ არ გაბამთ მახეში,
ოღონდ, ვინც უარს იტყვის
გვეყოლება სახეში".
ეროი ამას დახედეთ,
რა ოხერი კაცია!
მაგრამ რომ არ ეწყინ
ვიძენ ობლიგაციას.
მესამე დღეს მივდივარ
სესხის კომისიაში:
— „ამხანაგო, რა ყრია
მაგ ობლიგაციაში,
მუხლში ძალა არა მაქვს,
დამეკარგა გრაცია...
დამეხმარეთ გავყიდო
სესხის ობლიგაცია...
ქმარი ავად გამიხდა,
სიმამრი მყავს ბებერი,
დედამთილი გაგიჟდა,
დამიმტვრია „მებელი"...
ბებიაჩემს სურდო აქვს,
ბიძას აპენდიციტი,
მამას ყიჟანა ხველა
და ჯიბის დეფიციტი"...
თავმჯდომარე დათანხმდა,
(რა გულჩვილი კაცია!)
ოცი თუმნის გავყიდე
სესხის ობლიგაცია.
გავიქეცი, ვიყიდე
„ლუხი", „ოდეკოლონი",
(„სვიდანიას" მინიშნავს
სალამოს აპოლონი...).
კრეპ-დე შინი, ტუფლები,
პუდრი ლორიგანისა,
წითელი საღებავი,
ჩემი ტუჩის კანისა...
აპოლონთან დავდივარ
ოცდახუთჯერ კვირაში,
მაგრამ უცებ... სესხების
ჩაატარეს ტირაჟი
და...
თურმე მე რომ გავყიდე
ჩემი ობლიგაცია,
სწორედ მას მოუგია
მანეთი ათასია...
თავმჯდომარე მეძახის:
— „ჩემო კარგო ფაცია,
რომ აღარ მოგვასვენე,
გაგვაცალე გნაცია,
ათას მანეთს იგებდი,
დაგეცადა პაწია"!
ეი, ეს რა გავიგე,
თავს მოვიკლავ აწია,
მომეცით, დამიბრუნეთ...
ეს რა გულქვა კაცია!
აღარ ვყიდი... რაღა ვქნა...
სად გავები მახეში,
დამიბრუნეთ, თორემ თქვენც
მეყოლებით სახეში!..
ხალხო, ვისაც კისერზე
თავი მაინც გაცვია,
არ შეცდეთ, არ გაჰყიდოთ
სესხის ობლიგაცია...

**ტერსიტი.**

ბაკურიანში გაურბიან მეკურდღლეობის განვითარებას



— არიქა, ვილუპებით ბაკურიანელი „ვაჟკაცები", კურდღლის ბაჭ... დაგვესხა თავს... შეგვჭამა!.. გვიშველე—ე—ე—ე—ეთ!..

# ნატანები

## ჩაის ქარხანა

დირექტორი დანიშნა
ქარხანაში ბარე სამი;
მათ ფუნქციის გაყოფაზე
დაანთხიეს ცოფი, შხამი,
ფარნა ამბობს:—პირველობა
მე მეკუთვნის, ჩემო სერგო,
აქ სადავო რა გექნება,
ეს კანონით, ხომ მე მერგო
სერგომ უთხრა:—ჩემო ფარნა,
ლობე-ყორეს ნუ ედები;
შენ სპეცი ხარ სადაური?
მე მეკუთვნის ეს ედემი!
ვერ შეთანხმდენ, ვერ შერიგდენ,
გაიმართა ცხარე ომი,
პირველობის მისაღებად
დაეძგერენ როგორც ლომი.
ნიანგოჯან. შენც კი იცი
ჩაწორჩენა გველის ამით,
გავაშველოთ დროზე, თორემ
ბრძოლა არის დღით და ღამით

## გაბრიელის ოინი

ნატანების სას. სამ. არტელის მოძ… ანგარიშე გაბრიელი გაქნილი ბიჭი… და პატარა კვაჭიც.

ოზურგეთის სარაიონო კოლმეურნეობათა ყრილობაზე უნდა გაგზავნილიყო დამკვრელი კოლმეურნეობის შედგენა დაავალეს გაბრიელს.

— რაღა კვაჭი ვარ, თუ დამკვრელთა სიაში ვეღარ მოვათავსე ჩემი თავი?—გაიფიქრა გაბრიელმა და მართლაც სისრულეში მოიყვანა გაფიქრება.

გაბრიელი დამკვრელად გამოცხადდა (თუმცა დღეები ცრუ დამკვრელის დონეთი აქვს ნამუშევარი). ჯილდოც მიიღო შალის საშარვლე. ეს საქმე სამკუთხედმა გაიგო, მაგრამ სდუმს, რადგან, როგორც ამბობენ, გაბრიელმა მათ პირზე დაადგა ბოქლ… უკაცრავად, ბოთლი... (რა თქმა უნდა, ღვინით სავსე).

## ჩარჩების თარეში

კოლმეურნეთა ვაჭრობა
სოფლსაბჭომ ისე დახსნაო,
რომ ძველმა ჩარჩმა სუყველამ
სავაჭრო ისევ გახსნაო.
აქ ძველმა ჩარჩმა დავითამ
ღმერთი მაღალი ახსენა,
მას მოუმატა ბევრი სხვა
გვერდში მოუდგა არსენა.
გაათამამეს ჩარჩები
დაიპყრეს მთელი ბაზარი,
კოლმეურნეთა სახელით
საქმენი ხდება საზარი.

**ბრიელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა მ ტ რ ე დ ი ი ს ა მ ბ ე ბ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დიომიდე შარაშენიძე** საუცხოო ხასიათზე იყო, როცა ის მუშა-მატარებლით **აბაშის** მიმართულებით მიემგზავრებოდა.

არც შემანქანე **ტრიფონ რუხაძე** იყო ნაკლებ გუნებაზე.

— ამხ. **ტრიფონ** — ღიმილით მიმართა



დიომიდემ, დღეს არაჩვეულებრივ სიხარულს განვიცდი.

— სიკვდილს ხომ არ ელოდები?

— სიკვდილი შორს ჩვენგან. დღეს მაგრად უნდა ჩავასხათ.

— სად, ბიჭო?

— **საჭილაოს** ბაქანთან?

— რით უნდა ჩავასხათ, როცა არც შენ და არც მე გახვრეტილი კაპიკი არ გვაქვს.

— ეს მე ვიცი. შენ მხოლოდ ბაქანთან ორთქლმავალი გამიჩერე.

— ვინმემ რომ დაგვინახოს და გაზეთში ჩაგვაგდოს?

— შენ ჯავრი ნუ გაქვს.

— რაიონმა რომ გამიგოს?

— ესეც ჩემზე იყოს. ცოტა მყავს იქ ძმა-ბიჭები?

— დაგვიანებისათვის დეპოს რა უთხრა?

— იქაც მოვახერხებ ამ საქმეს.

ასეთ ჭიკჭიკში იყვნენ დიომიდე და ტრიფონი აბაშიდან დაბრუნებული, ცხენის - წყლის ხიდს რომ მიუახლოვდენ და... ორთქლმავალმაც ზლაზვნით შეწყვიტა ქშენა.

დაპატიჟებული, თუ დაუპატიჟებელი სტუმრები ესტუმრენ იქვე მცხოვრებ **მიშა** **ჟვანიას** ოჯახს.

გაჩაღდა ჭიქების ჭახა-ჭუხი.

ქება-დიდება და დიდი სურვილების მიძღვნა ოჯახისადმი.

გაისმა სიმღერაც.

ორთქლმავალი კი დგას ობოლივით და გულის ფანცქალით ელოდება თავის ბედაურ ბიჭებს!

— ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ უტაპიკო ურემს, რომელიც ურემი ხუთ წუთში მიგვიყვანს სამტრედიაში — ამაყად გადასძახა სუფრას **ტრიფონმა** და გადაკრა ხელი ანი ჭიქა.

ორთქლმავალის დაძვრის დროს იქვე გამოჩნდა ველოსიპედით ვინმე ყმაწვილი, რომელსაც ტრიფონმა სისწრაფის მეტი გავლაში შეეჯიბრა.

ყმაწვილმა რამოდენიმე მანძილზე გაუთანასწორდა მას. ამით გაბრაზებულმა **რუხაძემ**, ისეთი სისწრაფე მისცა ორთქლმავალს, რომ მთელ მიდამოს ზანზარი გაქონდა.

ეს ამბავი სასაცილო არ არის და რაიონის უფროსმაც მემანქანე **რუხაძეს** არ უნდა გაუცინოს.

II

## განათლების ... უფუფილე-

გავიგე რა ად... მასწავლებელთა შორის არსებულ კინკლაობისა და დაჯგუფებების შესახებ, ვინახულე განათლების განყოფილების გამგე ლუკა და ვეზაუბრე.

საუბარი დავიწყეთ **კანდელაკის** ჯგუფიდან.

ზოლი გავავლეთ **ცაგარეიშვილის** ჯგუფს, შევჩერდით **ლოლობერიძეზე**.

ნაწყენი დავრჩით **ლეჟავას** მოქმედებით.

მოვიხსენიეთ მასწ. **ეცეტაძის** დაპატიმრება.

დიდხანს გასტანა ბაასმა სასწავლებლებში დისციპლინის უქონლობაზე, მასწავლებელთა ძმა-ბიჭობით ჩამოყენება - დანიშვნის შესახებ, მომარაგების და გაკვეთილების არა სწორად განაწილებაზე და სხვა.

გაჭიანურდა შეფასება გამგე **კოპალეიშვილის** უმსგავსო საქციელის.

კამათმა სასტიკი სახე მიიღო **ლაბახუას** მიერ მასწავლებლობის შევიწროებაზე. პირადი სურვილისა და ნაწყობილების მიხედვით.

გავიხსენეთ ქობულიას მეუღლის საქმე, **მართა ეგოროვთან** ორი ბოჭკა სიმინდის ისტორია, დარაჯ **ოლღა ხემაშკოს** და მოწაფე **ზამთარაძის** გალახვა და სხვა.

გავაგრძელეთ საუბარი საშუალო ცოდნის კურსებზე პროტექციით მიღებულ და დამთავრებულ **თვალებაშვილის**, **კალაძის** **ხუბუას**, **გერაძის** და სხვათა შესახებ.

„სიამოვნებით“ მოვიგონეთ **ჩიგოგიძის** სახლში, **დაფნარში** და **საჯავახოში** ხშირ სტუმარ - მასპინძლობაზე და ასე შემდეგ...

კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ჩვენს შორის აზრთა გაცვლა - გამოცვლა, მაგრამ დაღლილ - დაქანცულობის გამო და დილის საყვირის ხმამაც დაიგუგუნა მე და **ლუკამ** ერთხმად დავადგინეთ:

საუბარი გადაიდვას შემდეგისათვის.

**ჭაბნელი ბზიკი.**

# ე ლ ვ ა

## შეჯიბრება

**ოზურგეთი.** სადგურის მოლარემ შეჯიბრებაში გამოიწვია სადგურ ნატანების მოლარე. შეჯიბრების მთავარი მუხლი შეეხება ხურდა ფულის უქონლობის მომიზეზებით მგზავრთა ძარცვას. ჯერ-ჯერობით შეჯიბრში წინ არის ნატანების სადგ. მოლარე.

**დიმი**

—:—

## გამგის განცხადება

**ზემო-ჭალადიდი** (სენაკის რაიონი) სამკითხველოს გემგემ გამოაკრა განცხადება, რომ იგი სამკითხველოს ამიერიდან გაალებს კვირაში ერთხელ, ვინაიდან სხვა დრო მას სჭირდება სეირნობისათვის.

**უვარუვარე**

—:—

## უბედური შემთხვევა

**ოჩხამური** (ქობულეთის რაიონი) ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის ძე ყურძლლეობის დარგში მომუშავე ალ. მამულაიშვილმა ნახა სიზმრად მოშენებულ კურდღელთა მთელი ჯოგი და ასტეხა ყვირილი: „გაუმარჯოს მეკურდღლეობის განვითარებას ოჩხამურში“, რის დროსაც ლოგინიდან ძირს გადმოვარდა და იატაკზე ბრაგვანი მოადინა. ალექსის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, ვინაიდან მან გადმოვარდნის დროს მოიტეხა მარჯვენა ხელი.

**შორეული**

## დაჯილდოვება

**ზუგდიდი.** „სოიუზტრანსი“-ს მოლარე ქალი წარდგენილია ჯილდოზე, რომელიც სარგებლიანობის მიზნით მტკიცეთ ატარებს ბილეთების ნაცნობ-მეგობრებზე გაყიდვას.

**რ.—ელი**

—:—

## უგზო-უკლოდ დაკარგვა

**მაღლაკი.** (ქუთაისის რაიონი) საქვაჭრობის მაღაზია № 36-დან გაიპარა და შემდეგ აღარ დაბრუნებულა 3.000 მანეთი. თანხის აღმოსაჩენად ადგ. მილიციის განკარგულებით გაიგზავნა გამსახლში ხსენებული მაღაზიის 7 ნოქარი.

**აჭაური**

—:—

**იქიდანვე.** საქეიფოდ გაემგზავრა და აღარ დაბრუნებულა ად. თემსაბჭოს მდივანი გრიშა. მნახველს ვთხოვთ გვაცნობოს მკვდარია თუ ცოცხალი, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს.

**იქიდანვე.** ადგ. საკოლმეურნეო სასადილო მისი გამგის განკარგულებით გადაკეთებულ იქნა ლოთებისა და მოკრივეების თავშესაფარად. ვინაიდან გლეხობისათვის იქ თავისუფალი ადგილი აღარ რჩება, გამგემ განცხადება გამოაკრა, რათა უკანასკნელნი თავს ნუღარ შეიწუხებენ იქ სასადილოთ.

**ური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სურამის მატარებელი

ექიმმა ტანში მალარია აღმომიჩინა და სურამში წასვლა მირჩია.

მეორე დღესვე ცოლშვილით საავარაკოთ მატარებლით მოვუსვი სურამისაკენ.

ხაშურში ისე ჩავედით, რომ გზაში არავითარი კატასტროფა არ მომხდარა—ისე კი ჩვენმა მატარებელმა რაღაც ხუთიოდე საათი დაიგვიანა.

მოგეხსენებათ, რომ დაბა სურამი სად. ხაშურიდან რაღაც ოთხიოდე კილომეტრით არის დაშორებული. სპეციალური მატარებელი დაიარება მგზავრების გადასაყვან-გადმოსაყვანად, მაგრამ უნდა ითქვას სიმართლე, რომ ხსენებული მატარებელი რკ. გზის სამმართველოს მგზავრებისათვის კი არ დაუნიშნავს, არამედ ხაშურის სად. მორიგეების სათამაშო ტიკინათ. იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ ხსენებული მატარებელი სადგურ ხაშურში იდგეს. მისი სადგური სემაფორია.

ვეძებე ლიანდაგებში მატარებელი, მაგრამ ვერსად აღმოვაჩინე. ბოლოს ისევ სადგურის მორიგესთან მივედი, მან ასეთი დარიგება მომცა:

— თუ ბევრი ბარგი არ გაქვს, გაიქეცი და მიუსწარი, სემაფორთან დგას და სადაცაა წავა. დავიქირავე ერთი მუშა, რომელმაც მიხათრა და ათ მანეთზე მეტი არ გადამახდევინა ბარგის მიტანაში.

ის იყო შევალაგეთ ბარგი ვაგონში, რომ იყვირა ორთქლმავალმა და ელვის სისწრაფით გაჰკურცხლა სურამისაკენ. დაბრუნებისას არა ნაკლები დღე დაგვადგა. ხაშურის მორიგემ სადგურში არ შემოგვიშვა.

ახლა მინდა ჩვენ ექიმს ვეჩვენო, მაგრამ ვშიშობ—ვაი თუ ჩემ ავადმყოფობას ნერვების აშლილობაც დაემატა და საექიმოდ ისევ სურამში გამომგზავნოს.

კირ. საფიჩხიელი.

# ს. ო ბ ჩ ა

მომისმინე ნიანგოჯან<br>
საკბილო ცყავს შენთვის ბევრი,<br>
მათგან ჯერ ერთს მოგაწოდებ<br>
შემდეგ სხვაზე იყოს ჯერი.<br>
გადავწყდოთ ობჩის თემის<br>
მომთავარე აფთიაქსა,<br>
ვინ არ იცნობს იმის გამგეს<br>
ლოლა ლეშკაშელის ქალსა!<br>
აფთიაქში თუ დაგროვდა<br>
რეცეპტებით ბლომათ ხალხი,<br>
ლოლას გულზე მოდის ბრაზი<br>
აერევა თავში ჩარხი.<br>
ყველას ცარიელს ისტუმრებს<br>
ყვირის: „ნე მაგუ რაბოტატ„,<br>
თუ გეჩქარებათ მიბრძანდით<br>
მე შესვენება მსურს ცოტა.<br>
კვირაში შვიდი (?) დღე არის<br>
რვა დღეს ატარებს ქალაქში,<br>
რა ქნას, ფაქიზი ქალია<br>
ვერ ძვლის სოფლის ტალახში.<br>
ჩვენ სოფელს რომ ექიმი ყავს<br>
ასეთი არვის ყოლია,<br>
„ენერგიულად„ მუშაობს<br>
ავადმყოფთ ღმერთი კოლია!<br>
პუნქტი და სავადმყოფო<br>
იქვე აქვს თავის სახლშია,<br>
(რა ქნას თემსაბჭოს არ მოსდის<br>
ამაზე ზრუნვა თავშია)<br>
ამბობენ: „ღვინის სმა უყვარს<br>
განა ეს საძრახისია.<br>
როცა ღვინოს სვამს ობჩელი<br>
მაშინ ქეეყანა მისია!

შოთიკა

ორი ბეჯითი



— წყლს, როგორც ვატყობ სახელგამი ერთი წიგნის ამარა მტოვებს. მეც ჯავრის გან პაპიროზს ვაბოლებ!

# შეურაცხყოფილი



რა უსამართლო ხალხია: მიკიტნებთან გზეთს შეკეთება რატომ არ დაამთავრეთ! რა დავამთავრეთ, რაც არ დამიწყია?!

# ზესტაფონი

ნიანგოჯან, უნდა გითხრა<br>
ზესტაფონზე რამე,<br>
აქ ქუჩებში ისე ბნელა,<br>
ვერ გაივლი ღამე.<br>
ელსადგური გაკოფუჭდა,<br>
ძრავი აღარ ბრუნავს,<br>
თვე გადის და მასზე კიდევ<br>
დღემდე არვინ ზრუნავს.<br>
აბანო სდგას, ელოდება<br>
სამ წელს აშენებას<br>
მართალს ვამბობ, გეფიცები<br>
აღმასკომის ნებას.<br>
ქუჩები სულ აღარ ვარგა<br>
თვით ქალაქის გარეთ,<br>
ქალაქიც კი უგზოობით<br>
სტირის ძალზედ მწარეთ.<br>
საგაზეთო ბიუროს კი<br>
სძინავს დიდი ხანი,<br>
სხვას გადასცეს გაზეთები<br>
სხვისთვის მისატანი.<br>
სასადილოში თუ შეხვალ<br>
დაგესევა მწერი,<br>
ქუჩებს „კოხტად" მოფენია<br>
ნაგავი და მტვერი.<br>
პურის წერტებს ჯერ კიდევ აქეთ<br>
მოგრძელო კუდიბი<br>
სადგურში კი მოგვიმრავლდა<br>
ბლომად ხულიგნები.<br>
მუშათა კლუბს თუ ეწვევ<br>
ნახვა გინდა რამის,<br>
წარმოდგენა დაიწყება<br>
ორ საათზე ღამის.

ვ. ტევრელი.

# ბიუროკრატის აღსარება

## (ხალხურ კილოზე)

პატივს გცემ, გელაქუცები<br>
სანამდე მე შენ მჭირიხარ,<br>
საჭირო რომ არ იქნები<br>
მერმე ფეხებზე მკიდიხარ!<br>
სანამდე შენთან საქმე მაქვს<br>
პირად მიზნისთვის მჭირდები,<br>
დაგდევ, რომ რამე დაგცანცლო<br>
შემდეგ კი გაგიცურდები!<br>
თუ საქმეს კი გამიკეთებ<br>
შავს გამომიჩენ თეთრადა,<br>
გიწამებ — კაცი ურწმუნო<br>
ეშმა··ო, გინდა ღმერთადა!<br>
თუ გავდიდკაცდი ოდესმე<br>
და—ვთქვათ, რომ მე შენ გჭირივარ,<br>
დარწმუნებული იყავი —<br>
შენი სტუმარი ძვირი ვარ!<br>
მანამდე გაქებ, გადიდებ<br>
სანამდე მე შენ მჭირიხარ,<br>
საჭირო, რომ არ იქნები<br>
ფეხებზედაც არ მკიდიხარ!

მაჭახელა

# „კულტურული“ ფინგანი

ნახ. კროტკოვის



ხარაგოულის საფინ. განყ. გამგე (შემთხვევით შეხვედრილ მასწავლებელს:)—არ მომთხოვო ჯამაგირი, თორემ დედას გიტირებ! (თავის თვის) დეკემბრისაც კი წინდაწინ მაქვს, მგონი, მიღებული და მაგას რას დავეძებ? მოდგეს და იშიმშილოს, „ნიჩავო ნი ზნაჩიტ“.

---

# გ ო დ ო რ ი

**ორს** (ალპანა) ალპანის საწარმოო ამხანაგობის გამგის პარმენ ხვადაგიანის შესახებ იწერებით:

> **ხვადაგიანი პარმენი**
> **არის მოყვარე ღვინისა,**
> **ბატკანის მცვრიან მწვადების**
> **ქეიფისა და ლხინისა.**

მცვრიანი მწვადი გვეჩწმუნეთ, არც ჩვენ გვეზარება, მაგრამ რაც შეეხება ლოთობას და თქვენ პიერ ქვევით ნათქვამს: ——

> **საწარმოოში ქეიფობს,**
> **დილიდან იწყებს მღერასა,**
> **და სალამომდი გასძახის**
> **„ვოდილა რაშო რერასა,, —**

უნდა იცოდეს პარმენმა, რომ წარმოებაში ასეთი მარშების სიმღერას შეიძლება შედეგად ნამდვილი „მარში“ მოყვეს.

**დათუშა მაღლაკელს** (ბორჯომი). ვაქვეყნებთ ჯერ-ჯერობით გოდორში თქვენს ლექსს:

> **ბორჯომ-ბაღში გაახელით**
> **საქმე მქონდა რაღაც დიდი;**
> **ვათვალთვალე საკბილონი,**
> **შემწვდა ამის შნო და „ვიდი“.**

თუ მომავალში თვალთვალის შნოს გარდა წერის შნოსაც უკეთესს იჩენ, მაშინ დაგაწინაურებთ.

**ლიას** (ქუთაისი) თქვენი ლექსი ასე იწყება:

> **აბა ტაში ტასიკელა,**
> **მოდი, ვჭამოთ ხრამული;**
> **კნიაზები დაგვიღონდეს,**
> **ჩამოართვეს მამული.**

ცეკვის დროს ხრამულის ჭამა ნუ გგონიათ თითქოს ძალიან დაშვენდება თქვენს „მშვენიერ“ ტასიკელას, რაც შეეხება კნიაზების დაღონებას, ამ ამბავსაც ისე გადმოგვცემთ, თითქოს ამერიკა აღმოგეჩინოთ!

**მიშას** (აქვე) ტყუილა ფიქრობ, თითქოს ყველა ლექსი, რომელშიაც ნახმარი იქნება კომუნიზმი და სოციალიზმი, მასების აზრის გამომხატველი ხელოვნება იყოს. მასებისათვის და ჩვენთვისაც სრულიად გაუგებარია, მაგალითად, თქვენი აქ მოყვანილი ლექსის უკანასკნელი სტრიქონი:

> **ბოლშევიზმურად (?) მიუდგეთ საქმეს**
> **უკან დახევა აღარ იქნება,**
> **რაგდან სულ მალე ჩვენი ქვეყანა**
> **კომუნიზმურად (?) გარდაიქმნება.**

განმარტებიზმი რედაქციიზმს ზედმეტიზმად მიაჩნია.

---

# იოსკას დიალოგი

(ხარაგოული)

ერთ მშვენიერ დილას ხარაგაულის კონიაკის ქარხნის წინ გავიარე. ქარხნიდან რაღაც სიცილ-ტირილი შემომესმა. ამ ამბავმა ძალზე დამაინტერესა და ქარხანაში შევედი. კონიაკის ქარხნის საწყობის გამგე ყოფილი ვაჭარი იოსებ დეკანოსიძე მოშუშავე ქალებში ჩარიგულიყო და ასეთ მოხსენებას აკეთებდა;

— გუშინ საღამოს გამგემ დამიბარა და ასეთი ბრძანება მომცა; „დილას, როდესაც ქალები მოვიდენ, გამოუცხადე რომ მათი შტატი გაუქმებულია და გაანთავისუფლეო“.

შეშფოთდენ საწყალი ქალები.

იოსკამ გააგრძელა;

— მართალია გამგემ ასეთი განკარგულება მომცა, მაგრამ მე მაინც შემიძლია სამუშაოზე დაგტოვოთ მაღარიჩი თუ იქნება...

— ოღონდ ნუ მოგვხსნით ძია და როდესაც ჯამაგირს ავიღებთ, ხაჭაპურს გამოგიცხობთ!.. შესძახეს ქალებმა.

— არ მინდა ხაჭაპური. ხაჭაპურს მე თვითონ გავჭამევთ...

— მაჭარზე დაგპატიჟებთ...

— არც მაჭარი მინდა

— იმისთანა [illegible] შეგიწყავთ რომ...

— „იმისთანა“ ვარია მე არ მინდა... მე... მე... დაიბნენ ქალები.

მუშკლეხინმა უნდა გამოიცნოს, რა უნდა „იოსკა“ დეკანოსიძეს და გამოიყვანოს გაურკვეველ მდგომარეობიდან გზადაბნეული ქალები.

მიშკა.

# რევიზორის ოინები

(ქუთაისი)

> ცრემლი მდის, ცრემლი მეღვრება,
> ცრემლი ცხარეზე ცხარეო,
> ამაშუკელზე ამბობენ
> ასე რათ გამამწარეო.
> რევიზორი ხარ მგონია
> „მოკაშკაშ-მოელვარეო“,
> რკინის გზის სამმართველოში
> ბადრი, უფურჩქვნი მთვარეო.
> კომბინაციით სახლები
> იყიდე, მოიხმარეო,
> ცეცხლის ალს მიეც და დასწვი
> მდგმურები გაამწარეო.
> შენ დააზღვიე მიტომ, რომ
> აგელო გროში რამეო,
> მდგმურებსა რაღას ერჩოდი
> ან რაზე გააწამეო?
> შარფით, ტუფლებით, რომ ვაჭრობ
> ეს რატომ არ იკმარეო,
> (რატომ გინახავს, რად გზიდავს
> შენ ქუთაისის არეო?)
> ღვინო იღვრება, რა ღვინო
> ნავთზე, რომ გქონდა ნაცვალი,
> გლეხს, რომ გააძვრე პერანგი
> და კიდევ ქვედა საცვალი!

ბომბ.

# ანდაზის მიხედვით

ნახ. რევაზიშვილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა




კამეჩი წევს და იცოხნის თავის ამინდი ჰგონია.
ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია

(ეს ალმასკომებს ეძღვნებათ, რომელთ ცუდი გზა ჰქონია;
თავმჯდომარენი ისმენენ თავში თუ არ აქვთ ქონია).

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68 მთავლიტი № 2400